საარჩევნო მედია მონიტორინგი

1-13 ოქტომბერი, 2012

აღსანიშნავია, რომ არჩევნების დღეს, 1 ოქტომბერს, თითქმის ყველა არხზე დღის მთავარი საინფორმაციო გამოშვებები სპეციალური ფორმატით გავიდა და საკმაოდ ხანგრძლივი იყო, რამაც დიდი გავლენა იქონია რაოდენობრივი მონაცემების მთლიან სურათზე.

მედია მონიტორინგის პერიოდში, 1-13 ოქტომბერი 2012, გამოვლინდა შემდეგი <u>ძირითადი მიგნებები:</u>

- ყველა არხზე დათმობილი დროის მიხედვით პირველ ადგილზეა კოალიცია ქართული ოცნება. ამასთან, მას ყველა არხმა მთელი დროის 40 პროცენტზე მეტი დაუთმო.
- დათმობილი დროის მიხედვით ყველა არხზე მეორე ადგილზეა ერთიანი ნაციონალური მოძრაობა. მას კოალიცია ქართულ ოცნებასთან შედარებით ორჯერ ან მეტჯერ ნაკლები დრო დაეთმო.
- მონიტორინგის სხვა პერიოდებთან შედარებით ამ პერიოდში ცესკოს გაშუქებამ იმატა და რამდენიმე არხზე პირველ ხუთეულში მოხვდა.
- 1 ოქტომბერს მხოლოდ პირველ არხსა და იმედზე ისაუბრეს არჩევნებში მონაწილე ყველა პარტიაზე წინასწარი შედეგების კონტექსტში.

- კოალიცია ქართულ ოცნებას პირდაპირი და ირიბი საუბრის განაწილება თითქმის ყველა არხზე თანაბარია. გამონაკლისია მხოლოდ რეალ ტვ, სადაც კოალიციას პირდაპირი საუბრის მხოლოდ 37 პროცენტი აქვს.
- პირველ არხზე, რუსთავი 2-სა და იმედზე ერთიან ნაციონალურ მოძრაობას პირდაპირი საუბრის 60 პორცენტზე მეტი წილი აქვს. მაესტროზე, კავკასიასა და მეცხრე არხზე კი - მხოლოდ 34 პროცენტი ან ნაკლები.

- მონიტორინგის ამ პერიოდში ყველა არხზე ჭარბობდა სუბიექტების ნეიტრალური ტონით გაშუქება, რაც გარკვეულწილად განპირობებულია 1 ოქტომბერს გასული ხანგრძლივი საინფორმაციო გამოშვებებით.
- დადებითი გაშუქება ყველა არხზე საკმაოდ იშვიათი იყო. თუმცა, მაესტროსა და მეცხრე არხზე კოალიცია ქართული ოცნების დადებითი გაშუქების წილი სხვა არხებთან შედარებით საკმაოდ მაღალია.
- მონიტორინგის წინა პერიოდებთან შედარებით ამ პერიოდში რეალ ტვ-ზე კოალიცია ქართულ ოცნებას უარყოფითი ტონით გაშუქების შედარებით დაბალი წილი აქვს. თუმცა, აღსანიშნავია რომ სხვა არხებთან შედარებით ამ პერიოდში ეს მაჩვენებელი მაინც ყველაზე მაღალია.
- რაც შეეხება ჟურნალისტის ტონს, თითქმის ყველა არხზე საერთო ტონისა და ჟურნალისტის ტონის სურათი მსგავსია.

მეთოდოლოგია და ანალიზი

ტელევიზიების საარჩევნო მედია მონიტორინგი მოიცავს რაოდენობრივ და თვისებრივ კომპონენტებს. რაოდენობრივში შედის სუბიექტებისთვის დათმობილი დრო, პირდაპირი და ირიბი საუბარი და გაშუქების ტონი. თვისებრივი მონიტორინგის კომპონენტები კი არის: ბალანსი, სიზუსტე, ფაქტებზე დაფუძნებული გაშუქება, კადრებით და მუსიკით მანიპულირება.

რაოდენობრივი მონაცემები მოცემულია დიაგრამებზე, რომლებიც ანგარიშს თან ერთვის. დიაგრამებზე სუბიექტებისთვის დათმობილი დრო მოცემულია პროცენტებში. 100 პროცენტად აღებულია მონიტორინგის კონკრეტულ პერიოდში თითოეულ არხზე ყველა სუბიექტისთვის დათმობილი დრო, რაც თითოეული დიაგრამის სათაურშია მითითებული. თუ დიაგრამაზე რომელიმე პოლიტიკური პარტია, რომელიც მონიტორინგის სუბიექტს წარმოადგენს, არ არის წარმოდგენილი, ეს იმას ნიშნავს, რომ ამ პერიოდში ამ არხზე ამ

პარტიას დრო საერთოდ არ დაეთმო. ის პარტიები კი, რომლებსაც რამდენიმე წამი/წუთი მაინც დაეთმო, დიაგრამაზე ნაჩვენებია (ზოგჯერ დროის 0 პროცენტით). თითოეულ არხზე კატეგორია სხვაში გაერთიანებულია ის სუბიექტები (პოლიტიკური პარტიების გარდა), რომლებსაც ამ არხზე დროის 1 პროცენტი ან ნაკლები დაეთმო.
აღსანიშნავია, რომ პრეზიდენტი ყოველთვის ითვლება ცალკე, მიუხედავად იმისა ის ერთიანი ნაციონალური მოძრაობის სახელით აკეთებს განცხადებას თუ არა. თუმცა, თუ სხვა პოლიტიკური ფიგურები, როგორებიც არიან, მაგალითად: ვანო მერაბიშვილი, დავით ბაქრაძე, გიგი უგულავა და ა.შ., გამოდიან პარტიის სახელით და აკეთებენ მიმართვას ან კანდიდატების წარდგენას ისინი ითვლებიან როგორც „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ და არა როგორც „მთავრობა“ ან „პარლამენტი“.

პირდაპირი და ირიბი საუბარი ერთმანეთისგან განასხვავებს, სიუჟეტში სუბიექტი თვითონ საუბრობს თუ მასზე საუბრობენ სხვები: ჟურნალისტი ან სხვა რესპონდენტები. დიაგრამებზე პირდაპირი და ირიბი საუბარი მოცემულია პროცენტებში. 100 პროცენტად აღებულია თითოეული სუბიექტისთვის ამ არხზე დათმობილი დრო, რაც დიაგრამებზე მოცემულია სუბიექტების გასწვრივ (სთ:წთ:წმ ფორმატში). ის სუბიექტები, რომლებსაც არხზე ერთ წუთზე ნაკლები დრო დაეთმო, დიაგრამებზე წარმოდგენილი არ არის.

გაშუქების ტონი ენიჭება სუბიექტს მაშინ, როცა მასზე საუბრობენ ირიბად და ასევე მაშინ, როდესაც ის თვითონ საუბრობს თავის თავზე, სხვა სუბიექტებზე ან ზოგად საკითხებზე. დიაგრამებზე ნაჩვენებია ტონის სამი კატეგორია: დადებითი (მწვანე), ნეიტრალური (ყვითელი) და უარყოფითი (წითელი). როდესაც ითვლება სუბიექტისთვის დათმობილი დრო, იქვე ხდება დათმობილი დროის ტონის შეფასება. ყურადღება ექცევა როგორც ჟურნალისტის ან რესპონდენტის ტექსტს, ასევე სიუჟეტის მთლიან კონტექსტს.

სუბიექტებისთვის დათმობილი დროის შეფასება ტონების მიხედვით მოცემულია ორგვარად: მოცემულ არხზე სუბიექტებისთვის დათმობილი მთლიანი დროის შეფასება ტონის მიხედვით და ცალკე ჟურნალისტის მიერ სუბიექტების გაშუქების/ხსენების ტონი. გაშუქების ტონი მოცემულია პროცენტებში. პირველ შემთხვევაში 100 პროცენტად აღებულია კონკრეტულ არხზე სუბიექტზე საუბრის დრო მთლიანად და ცალკე ჟურნალისტების მიერ ამ

სუბიექტზე საუბრის დრო. სუბიექტები, რომლებსაც თითოეულ შემთხვევაში დაეთმო 1 წუთზე ნაკლები, დიაგრამებზე წარმოდგენილი არ არის.

თვისებრივად მონიტორინგის დროს ყურადღება ექცევა ბალანსს ანუ რამდენად არის სიუჟეტებში წარმოდგენილი გაშუქებული საკითხის გარშემო რამდენიმე განსხვავებული მოსაზრება. ასევე სიზუსტეს, რომლის შესაფასებლადაც მონიტორი აკვირდება, თუ რამდენად შესაბამისია ერთმანეთთან ჟურნალისტის დასკვნა და სიუჟეტში გამოყენებული მასალები (კადრები, რესპონდენტების კომენტარები), არის თუ არა შეცდომები სახელწოდებებში, რიცხვებში, რესპონდენტების ვინაობაში. ხდება დაკვირვება, რამდენად ეხება სიუჟეტი რაიმე კონკრეტულ ფაქტს და არის თუ არა სიუჟეტში მოყვანილი ამ ფაქტის დამადასტურებელი კადრები/კომენტარები.

მონიტორინგი ყურადრებას აქცევს საინფორმაციოებში კადრებითა და მუსიკით მანიპულირების შემთხვევებს. ითვლება, რომ მოახდინეს კადრებითა და მუსიკით მანიპულირება მაშინ, როცა სიუჟეტში გამოყენებული კადრები, ფოტოები ისეა წარმოდგენილი და თან დაჰყვება ისეთი მუსიკა, რომელიც გარკვეულ განწყობას ქმნის და იწვევს მკვეთრად დადებით ან უარყოფით ასოციაციებს.

ამ კომპონენტებზე დაყრდნობით წარმოდგენილია 1-13 ოქტომბრის პერიოდის საინფორმაციო გამოშვებების მონიტორინგის შედეგები არხების მიხედვით.

აღსანიშნავია, რომ მოცემულ პერიოდში მონიტორინგის ქვეშ მოხვდნენ მხოლოდ ის პარტიები და გაერთიანებები, რომლებიც ცენტრალურ საარჩევნო კომისიის თანახმად, 2012 წლის 1 ოქტომბრის საქართველოს პარლამენტის არჩევნებისათვის დარეგისტრდნენ საარჩევნო სუბიექტებად. დანარჩენი სუბიექტები, როგორებიცაა მთავრობა, პრეზიდენტი, პარლამენტი, ადგილობრივი თვითმმართველობა, ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციები,[1] ცესკო, ამომრჩეველთა სიების დაზუსტების უზრუნველყოფის კომისია (სია), დამკვირვებლები, სახელმწიფო აუდიტის სამსახური, უცვლელია.

[1] მონიტორინგი ადგილობრივი ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების გაშუქებას აკვირდება მხოლოდ საარჩევნო კონტექსტში.

პირველი არხი

პირველ არხზე სუბიექტებს 1-13 ოქტომბრის პერიოდში სულ 9 საათი დაეთმო. ამ დროის ერთი მესამედი მხოლოდ არჩევნების დღეს გასულმა საინფორმაციო გამოშვებამ დაფარა. დათმობილი დროის მიხედვით პირველ არხზე ძირითადად ორი სუბიექტი გამოირჩევა: კოალიცია ქართული ოცნება, რომელსაც მთელი დროის თითქმის ნახევარი დაეთმო და ერთიანი ნაციონალური მოძრაობა. მთელი მონიტორინგის განმავლობაში პირველად დაფიქსირდა შემთხვევა, როდესაც პირველ არხზე რომელიმე სუბიექტს დათმობილი დროის მიხედვით ამხელა პროცენტული მაჩვენებელი აქვს. სუბიექტების უმრავლესობას პირდაპირი და ირიბი საუბრის განაწილება საკმაოდ თანაბარი აქვთ. სუბიექტებისთვის დათმობილი დროის ტონის მიხედვით ჩანს, რომ პირველ არხზე მონიტორინგის სუბიექტები ძირითადად ნეიტრალურად შუქდება, როგორც საერთო ისე ჟურნალისტის ტონის შემთხვევაში. ნეიტრალური და აღწერილობითი ხასიათისაა პირველ არხზე გასული სიუჟეტების სათაურები. ზოგადად ნეიტრალური სიუჟეტები ჭარბობს. თუმცა, იყო არჩევნებთან დაკავშირებული სიუჟეტები, საიდანაც უარყოფითი შთაბეჭდილება რჩებოდა კოალიციაზე, უმეტესად რესპონდენტების კომენტარების გამო, სიუჟეტები კოალიციის წარმომადგენლების მიერ განხორციელებულ ზეწოლაზე. წარმოდგენილი რესპონდენტების მხრივ, პირველ არხზე სიუჟეტები ძირითადად დაბალანსებულია. რაც შეეხება ჟურნალისტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის ფაქტებით გამყარებას, პირველ არხზე ასეთი ფაქტები ყოველთვის მოცემულია.

1-13 ოქტომბრის პერიოდში პირველ არხზე სუბიექტებისთვის დათმობილმა დრომ ჯამში 9 საათი და 1 წუთი შეადგინა. აღსანიშნავია, რომ ამ დროის მესამედს (3 საათი და 15 წუთი) მხოლოდ 1 ოქტომბერს გასული საინფორმაციო გამოშვება წარმოადგენს. არჩევნების დღეს, თითქმის ყველა არხზე საინფორმაციო გამოშვებები საკმაოდ ხანგრძლივი იყო, რამაც საბოლოოდ გავლენა იქონია სუბიექტებისთვის დათმობილ საერთო დროზე და მის გადანაწილებაზე.

დათმობილი დროის მიხედვით პირველ არხზე ძირითადად ორი სუბიექტი გამოირჩევა: კოალიცია ქართული ოცნება, რომელსაც მთელი დროის 49 პროცენტი ერგო და ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, რომელსაც შედარებით ნაკლები, 20 პროცენტი აქვს. აღსანიშნავია, რომ პირველ არხზე პირველად დაფიქსირდა შემთხვევა, როდესაც რომელიმე სუბიექტს ამხელა პროცენტული მაჩვენებელი აქვს.

დანარჩენ სუბიექტებს შორის დრო საკმაოდ თანაბრად არის გადანაწილებული. პირველ სამეულში დათმობილი დროის მიხედვით მოხვდა ასევე ცესკო, რომელსაც 6 პროცენტი ერგო. 1 ოქტომბრის გამოშვებაში ყველა პარტიას დაეთმო დრო, რომლებიც ცენტრალური საარჩევნო კომისიის თანახმად, 2012 წლის 1 ოქტომბრის საქართველოს პარლამენტის არჩევნებისათვის დარეგისტრდნენ საარჩევნო სუბიექტებად. თუმცა, განსხვავება პარტიებისთვის დათმობილ მაქსიმალურ და მინიმალურ დროებს შორის საკმაოდ დიდია, რამდენიმე პარტიას მხოლოდ 2 წამი დაეთმო. (იხ. დიაგრამა Time 1)

აღსანიშნავია, რომ სუბიექტების უმრავლესობას პირდაპირი და ირიბი საუბრის განაწილება საკმაოდ თანაბარი აქვთ. ყველაზე თანაბარი განაწილება პირველ ადგილას მყოფ კოალიცია ქართული ოცნების შემთხვევაში დაფიქსირდა (პირდაპირი 49 პროცენტი, ირიბი 51 პროცენტი). ერთიან ნაციონალურ მოძრაობასა და ცესკო ეს განაწილება ერთნაირად აქვთ, ორივეს პირდაპირი საუბრის 61 პროცენტი დაუფიქსირდა. პირდაპირი საუბრის ყველაზე მაღალი წილი ადგილობრივ არასამთავრობოებს აქვთ, 66 პროცენტი დათმობილი 18 წუთიდან. (იხ. დიაგრამა Speech 1)

სუბიექტებისთვის დათმობილი დროის ტონის მიხედვით ჩანს, რომ პირველ არხზე მონიტორინგის სუბიექტები ძირითადად ნეიტრალურად შუქდება. ნეიტრალური ტონის ყველაზე დაბალი წილი, 78 პროცენტი, პრეზიდენტის შემთხვევაში დაფიქსირდა, რომელსაც სულ თითქმის 16 წუთი დაეთმო. ამ დროის 21 პროცენტი კი დადებით გაშუქებას დაეთმო. დანარჩენ სუბიექტებს ნეიტრალური ტონით გაშუქება 92 პროცენტზე მეტი აქვთ. კოალიცია ქართულ ოცნებას, რომელსაც ყველაზე მეტი დრო (5 საათი) დაეთმო, უარყოფითი ტონის წილიც ყველაზე მეტი აქვს, 5 პროცენტი. რაც შეეხება დადებით ტონს, ქართულ ოცნებასა და

ნაციონალურ მოძროაბას ერთნაირად 3-3 პროცენტი დადებითი ტონით გაშუქება დაუფიქსირდათ. (იხ. დიაგრამა Tone 1)

რაც შეეხება ჟურნალისტის ტონს, თითქმის ყველა სუბიექტი მხოლოდ ნეიტრალური ტონით შუქდება. ყველაზე დაბალი ნეიტრალური ტონის მაჩვენებელი კოალიცია ქართულ ოცნებას აქვს - 93 პროცენტი. მასვე დაუფიქსირდა უარყოფითი ტონით გაშუქების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი - 5 პროცენტი. (იხ. დიაგრამა Tone J1)

მონიტორინგის ამ პერიოდში პირველ არხზე გასული სიუჟეტების სათაურები ნეიტრალური და აღწერილობითი ხასიათისაა.

მონიტორინგი სიუჟეტებს აკვირდება მთლიანობაშიც და აღრიცხავს სიუჟეტების ზოგად შთაბეჭდილებას რომელიმე სუბიექტის მიმართ. აღსანიშნავია, რომ პირველ არხზე ჭარბობს ნეიტრალური შინაარსის მქონე სიუჟეტები. დადებითი გაშუქების შემთხვევები იშვიათია. მონიტორინგის პერიოდში მხოლოდ რამდენიმე სიუჟეტი გავიდა, რაც დადებით შთაბეჭდილებას ქმნიდა ამა თუ იმ სიუჟეტზე. მაგ.: 6 ოქტომბრის სიუჟეტი „თბილისობა 2012“, სადაც აღწერილი იყო ხალხის მიერ თბილისობის დღესასწაულის აღნიშვნა და ქალაქის მერი გიგი უგულავა დადებითად იყო წარმოჩენილი. თუმცა, ამ მხრივ რაიმე ტენდენციის გამოყოფა შეუძლებელია.

რაც შეეხება უარყოფით საერთო შთაბეჭდილებას, არჩევნების შემდგომ დღეებში შეინიშნებოდა არჩევნების ჩატარებასთან დაკავშირებული სიუჟეტები, სადაც უარყოფითი შთაბეჭდილება რჩებოდა კოალიცია ქართული ოცნების წარმომადგენლებზე. ხშირ შემთხვევაში ეს უარყოფითი შთაბეჭდილება იქმნება რესპონდენტების კომენტარების ან გავრცელებული განცხადებების გამო. ასეთი სიუჟეტები ეხება კოალიციის წევრების მიერ საარჩევნო კომისიისთვის ხელის შეშლას, კომისიის წარმომადგენლების მიმართ ზეწოლასა და, მათ ფიზიკურ შეურაცხყოფას. მაგალითად, 5 ოქტომბრის სიუჟეტში „დაძაბულობა მარნეულში“ უარყოფითი კონტექსტი იქმნება კოალიციის აქტივისტებზე და წევრებზე. ნაჩვენებია რესპონდენტები, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები, რომლებიც საუბრობენ ქართული ოცნების წარმომადგენლების მიერ მათ ცემაზე.

სიუჟეტში წარმოდგენილი რესპონდენტების მხრივ პირველ არხზე სიუჟეტები ძირითადად დაბალანსებულია და სხვადასხვა მოსაზრებაა წარმოდგენილი გაშუქებული საკითხის გარშემო. თუმცა, მონიტორინგის პერიოდში იყო სიუჟეტები (არჩევნების პროცესებთან დაკავშირებით), რომლებიც მხოლოდ ერთ წყაროზე იყო დაფუძნებული.

რაც შეეხება სიუჟეტში ჟურნალისტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის ფაქტებით გამყარებას, პირველ არხზე სიუჟეტებში ასეთი ფაქტები ყოველთვის მოცემულია.

საარჩევნო კამპანიის ფარგლებში უკვე რამდენიმე თვეა პირველ არხს საინფორმაციო გადაცემაში აქვს პირდაპირი ჩართვა მოწვეულ ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებთან. მონიტორინგის 1-13 ოქტომბრის პერიოდში პირველ არხზე სულ 6 ასეთი ჩართვა იყო და თითოეულის საშუალო ხანგრძლივობა 10 წუთს შეადგენდა. აღნიშნული ჩართვების სტუმრები იყვნენ: ირაკლი ალასანია (კოალიცია ქართული ოცნება), პალიკო კუბლაშვილი (ერთიანი ნაციონალური მოძრაობა), ალექსი პეტრიაშვილი (კოალიცია ქართული ოცნება), გიგი წერეთელი (ერთიანი ნაციონალური მოძრაობა), სერგო რატიანი (ერთიანი ნაციონალური მოძრაობა), ამირან გამყრელიძე (ჯანდაცვის მინისტრობის კანდიდატი ქართული ოცნებიდან.

მოცემულ ჩართვებში ერთი სტუმარია წარმოდგენილი. ჟურნალისტი უმეტესწილად აცდის სტუმრებს ბოლომდე აზრის გამოთქმას და მხოლოდ იმ შემთხვევაში აწყვეტინებს საუბარს, როცა სურს დამატებითი კითხვა დაუსვას, დააზუსტოს რამე ან რესპოდენტი გასცდა სასაუბრო თემას. წამყვანის კითხვები სტუდიაში მოწვეული სტუმრებისადმი ზოგჯერ ნაკლებად მომთხოვნია, ზოგჯერ კი - მეტად.

რუსთავი 2

მონიტორინგის პერიოდში რუსთავი 2-ზე სუბიექტებს ზუსტად 9 საათი დაეთმო. ამ დროის თითქმის მესამედს (2 საათი და 51 წუთი) მხოლოდ 1 ოქტომბერს გასული საინფორმაციო გამოშვება წარმოადგენს. მთელი დროის თითქმის ნახევარი კოალიცია ქართულ ოცნებას დაეთმო. პირდაპირი და ირიბი საუბრის მხრივ, იმ სუბიექტებს, რომლებსაც 10 წუთზე მეტი დრო დაეთმოთ მოცემულ პერიოდში, ყველა სუბიექტის შემთხვევაში პირდაპირი საუბრის წილი ჭარბობს. სუბიექტები უმეტესად ნეიტრალურად არის გაშუქებული, როგორც საერთო ისე ჟურნალისტის ტონის შემთხვევაში. ტონების განაწლებაზეც დიდი გავლენა იქონია 1 ოქტომბერს გასულმა საკმაოდ ხანგრძლივმა საინფორმაციო გამოშვებამ, რომელშიც ძირითადად ეგზიტპოლების შედეგებს აცხადებდნენ. სიუჟეტების სათაურები უმეტესად ინფორმაციული და ნეიტრალურია. სიუჟეტების ზოგადი შთაბეჭდილება ხშირად ნეიტრალურია. მკვეთრად უარყოფითი ან დადებითი სიუჟეტები რომელიმე სუბიექტის მიმართ არ შეინიშნება. თუმცა, დაფიქსირდა დადებითი სიუჟეტები პრეზიდენტსა და ხელისუფლების წარმომადგენლებზე და უარყოფითი სიუჟეტები - კოალიცია ქართულ ოცნებაზე. სიუჟეტებში წარმოდგენილი რესპონდენტების მხრივ, სიუჟეტები მეტ-ნაკლებად დაბალანსებულია. ხშირია ისეთი სიუჟეტების შემთხვევები, სადაც უმეტესად მხოლოდ ერთი მხარე ან წყაროა წარმოდგენილი.

მონიტორინგის პერიოდში (1-13 ოქტომბერი) რუსთავი 2-ზე ყველა სუბიექტს ჯამში ზუსტად 9 საათი დაეთმო. აღსანიშნავია, რომ ამ დროის თითქმის მესამედს (2 საათი და 51 წუთი) მხოლოდ 1 ოქტომბერს გასული საინფორმაციო გამოშვება წარმოადგენს. არჩევნების დღეს, უმეტეს არხებზე საინფორმაციო გამოშვებები საკმაოდ ხანგრძლივი იყო, რამაც საბოლოოდ გავლენა იქონია სუბიექტებისთვის დათმობილ საერთო დროზე და მის გადანაწილებაზე.

დათმობილი დროის ძირითადად ორ სუბეიქტს შორის გადანაწილდა: კოალიცია ქართული ოცნება, რომელსაც მთელი დროის თითქმის ნახევარი დაეთმო და ნაციონალურ მოძრაობას, რომელსაც შედარებით ნაკლები, 18 პროცენტი ერგო. პირველ ოთხეულში ასევე მოხვდნენ მთავრობა (9 პროცენტი) და პრეზიდენტი (7 პროცენტი). დანარჩენ სუბიექტებს კი 3 პროცენტი ან ნაკლები აქვთ. (იხ. დიაგრამა Time 2)

პირდაპირი და ირიბი საუბრის მხრივ, იმ სუბიექტებს, რომლებსაც 10 წუთზე მეტი დრო დაეთმოთ მოცემულ პერიოდში, ყველა სუბიექტის შემთხვევაში პირდაპირი საუბრის წილი ჭარბობს და 53 პროცენტზე მეტია. პირდაპირი საუბრის ყველაზე დაბალი წილი კოალიცია ქართული ოცნების შემთხვევაში დაფიქსირდა - 53 პროცენტი. ყველაზე მაღალი წილი კი, დამკვირვებლებს აქვთ 76 პროცენტი. (იხ. დიაგრამა Speech 2)

სუბიექტებისთვის დათმობილი დროის ტონით შეფასებას რაც შეეხება, სუბიექტები უმეტესად ნეიტრალურად არის გაშუქებული. ამ შემთხვევაშიც დიდი გავლენა იქონია 1 ოქტომბერს გასულმა საკმაოდ ხანგრძლივმა საინფორმაციო გამოშვებამ, რომელშიც ძირითადად ეგზიტპოლების შედეგებს აცხადებდნენ. დადებითად გაშუქების ყევლაზე მაღალი წილი აქვს პრეზიდენტს - 21 პროცენტი. დადებითი ტონი დაფიქსირდა ასევე კოალიცია ქართული ოცნებისა და ერთიანი ნაციონალური მოძრაობის შემთხვევაშიც. (ქართული ოცნება - 4 პროცენტი და ნაციონალური მოძრაობა - 6 პროცენტი). რაც შეეხება უარყოფით ტონს, ძირითადად მხოლოდ ერთი სუბიექტის მიმართ დაფიქისრდა, რომელსაც ყველაზე მეტი დრო, თითქმის 5 საათი, დაეთმო: კოალიცია ქართული ოცნება - 8 პროცენტი. (იხ. დიაგრამა Tone 2)

რაც შეეხება ჟურნალისტის ტონის მიხედვით სუბიექტებისთვის დათმობილ დროს, სურათი საკმაოდ მსგავსია. ამ შემთხვევაშიც უმეტესად ჭარბობს ნეიტრალური ტონით გაშუქება. ნაიტრალური ტონის ყველაზე დაბალი წილი 90 პროცენტს შეადგენს, რომელიც კოალიცია ქართულ იცნებას აქვს. ქართულ ოცნებას ასევე ყველაზე მაღალი უარყოფითი ტონით გაშუქება აქვს - 8 პროცენტი. (იხ. დიაგრამა Tone J2)

მონიტორინგის პერიოდში რუსთავი 2-ზე გასული სიუჟეტების სათაურები უმეტესად ინფორმაციული და ნეიტრალურია. არჩევნების დღეს, 1 ოქტომბერს გასული საინფორმაციო გადაცემის სიუჟეტები უსათაურო იყო.

მონიტორინგის პერიოდში რუსთავი 2-ზე სიუჟეტები ძირითადად ნეიტრალური ხასიათისაა. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ მკვეთრად დადებითი ან მკვეთრად უარყოფითი სიუჟეტები არ გამოვლინდა, მაინც შენარჩუნდა ტენდენცია, რომ სიუჟეტები, რომელთა საერთო

შთაბეჭდილება დადებითისკენ იხრება, ეხება უმეტესად პრეზიდენტს, ერთიან ნაციონალურ მოძრაობასა და სულ რამდენიმე შემთხვევაში თბილისის მერს. ხოლო სიუჟეტები, რომელთა საერთო შთაბეჭდილება უარყოფითისკენ იხრება - კოალიცია ქართული ოცნების წარმომადგენლებს, განსაკუთრებით ოქტომბრის პირველ კვირაში.

პირველ ოქტომბერს ვრცელი საინფორმაციო გამოშვების განმავლობაში 4-ჯერ გაიმეორეს ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლის, ჩიორა თაქთაქიშვილის განცხადება, რომლის მიხედვითაც ნაციონალური მოძრაობა „მყარი უმრავლესობით“ იმარჯვებს, რაც დადებით შთაბეჭდილებას ტოვებდა პარტიაზე. ასევე სიუჟეტებში საერთაშორისო ორგანიზაციების განცხადებებსა და უცხოურ გამოცემებში დაბეჭდილ სტატიებზე, ასევე პრეზიდენტის გამოსვლებზე, პრეზიდენტი და ნაციონალური მოძრაობა საკმაოდ დადებითად წარმოჩინდა. ასეთია, მაგალითად, 3 ოქტომბრის სიუჟეტი „საერთაშორისო გამოხმაურებები“, რომელშიც ჟურნალისტი კითხულობს სტატიას, სადაც პრეზიდენტისა და ნაციონალური მოძრაობის მიერ შედეგების აღიარება დემოკრატიულ ნაბიჯადაა წარმოდგენილი. ამის საპირისპიროდ, ბიძინა ივანიშვილის განცხადება, სადაც ის მიხეილ სააკაშვილს გადადგომას მოუწოდებს, არადემოკრატიულ ნაბიჯად იყო წარმოჩენილი.

რიგ სიუჟეტებში კოალიცია ქართული ოცნება უარყოფითად იყო წარმოჩენილი, ძირითადად არჩევნების ჩატარების პროცესთან დაკავშირებით. მაგალითად, 2 ოქტომბრის სიუჟეტი „ინციდენტი რუსთავი 2-ში” უარყოფითი შინაარსისაა ქართული ოცნების მიმართ, რადგანაც სიუჟეტში მოთხრობილია, თუ როგორ ცდილობდნენ კოალიციის მთვრალი აქტივისტები რუსთავი 2-ის შენობაში შეჭრას. ასევე, 4 ოქტომბრის სიუჟეტი „ზეწოლა საარჩევნო კომისიებზე“ უარყოფითისკენ იხრება კოალიციის მიმართ, რადგან სიუჟეტიდან ჩანს, რომ კოალიციის წევრები და მხარდამჭერები ხელს უშლიან კომისიის წევრებს მუშაობაში და სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებენ მათ.

მონიტორინგის პერიოდში გავიდა რამდენიმე სიუჟეტი, სადაც უარყოფითად წარმოჩინდა ხელისუფლება და ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენელი. 6 ოქტომბრის სიუჟეტი „შეჭრილი დევნილები” მოგვითხრობს დევნილების მიერ შენობაში შეჭრაზე. იქიდან გამომდინარე, რომ დევნილები საუბრობენ მათ გაუსაძლის მდგომარეობაზე, რაც

წლების განმავლობაში გრძელდება, უარყოფითად წარმოჩინდება ხელისუფლება. ამავე დღის სიუჟეტში „პროტესტის ანატომია 2” საუბარია ფილმზე, რომელშიც ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წევრი, გივი თარგამაძეს, მოხსენიებულია, როგორც „ფერადი რევოლუციების მთავარი კონსტრუქტორი“. ფილმიდან ნაჩვენები კადრებით თარგამაძეზე უარყოფითი შთაბეჭდილება იქმნება.

სხვადასხვა მხარისა და მოსაზრების წარმოჩენის თვალსაზრისით მონიტორინგის პერიოდში სიუჟეტების უმეტესობა დაბალანსებულია. ასევე, მონიტორინგის პერიოდში გვხვდება ისეთი სიუჟეტები, რომლის შემთხვევაშიც რთულია ბალანსზე საუბარი, ერთი წყაროა ან საერთოდ არ არის წყარო წარმოდგენილი.

აგვისტოს მეორე ნახევრიდან რუსთავი 2-მა საინფორმაციო გადაცემაში დაიწყო პირდაპირი ჩართვების გაკეთება, სადაც იწვევენ ერთ ან რამდენიმე პოლიტიკოსს. ზოგჯერ ისინი დებატების ხასიათს ატარებენ. 1-13 ოქტომბრის პერიოდში რუსთავი 2-ზე გასულ პირდაპირ ჩართვებში სტუმრად იყვნენ: 2 ოქტომბერს - გიგა ბოკერია (უშიშროების საბჭოს მდივანი), 3 ოქტომბერს - დავით უსუფაშვილი (კოალიცია ქართული ოცნება), 3 ოქტომბერს - დავით ბაქრაძე (ერთიანი ნაციონალური მოძრაობა), 11 ოქტომბერს - ამირან გამყრელიძე (კოალიცია ქართული ოცნება).

ამ ჩართვებში ჟურნალისტი ყოველთვის აცდის სტუმრებს ბოლომდე აზრის გამოთქმას და აწყვეტინებს მხოლოდ დამატებითი კითხვის დასმის ან ჩაკითხვის მიზნით. ჟურნალისტის შეკითხვები სტუმრებისადმი უმეტესად ნაკლებად ან ზომიერად მომთხოვნია.

იმედზე მონიტორინგის ამ პერიოდში სუბიექტებს ჯამში 8 საათი და 55 წუთი დაეთმო. აქედან 3 საათი და 11 წუთი მხოლოდ 1 ოქტომბერს გასული საინფორმაციო გამოშვების დროა. დათმობილი დროის მიხედვით პირველ ადგილზე კოალიცია ქართული ოცნება არის. აღსანიშნავია, რომ სხვა არხებისგან განხსვავებით იმედზე ამ სუბიექტს ყველაზე დიდი პროცენტული მაჩვენებელი აქვს, მთელი დროის ნახევარზე მატი. პირდაპირი პირდაპირი საუბრის მინიმუმ 54 პროცენტი აქვთ. სუბიექტები უმეტესად ნეიტრალურად არის გაშუქებული. ამ შემთხვევაშიც დიდი გავლენა იქონია 1 ოქტომბერს გასულმა საკმაოდ ხანგრძლივმა საინფორმაციო გამოშვებამ. სიუჟეტებს ხშირად აქვს არანეიტრალური სათაურები. აღსანიშნავია, რომ ერთი და იგივე უარყოფითი შინაარსის სათაური კოალიცია ქართულ ოცნებაზე ბევრჯერ გამეორდა სამი დღის განმავლობაში. დადებითი სიუჟეტები ძირითადად პრეზიდენტზე, მთავრობასა და ერთიან ნაციონალურ მოძრაობაზეა, ხოლო უარყოფითი სიუჟეტები - ბიძინა ივანიშვილსა და კოალიცია ქართულ ოცნებაზე. ხაზი არის გასმული კოალიციაში მყოფი წევრების წარსულზე, მათ შეცდომებზე, ერთმანეთთან ცუდ დამოკიდებულებაზე და სხვა უარყოფითი შინაარსის ინფორმაციაზე. საინფორმაციო გამოშვების ჩართვებში, სადაც მონაწილეობას იღებენ პოლიტიკური ფიგურები და ექსპერტები, ჟურნალისტის მხრიდან შეინიშნებოდა, რომ ჟურნალისტი ზოგ სტუმარს საუბარს აწყვეტინებდა, ზოგის მიმართ განსაკუთრებით მკაცრი ან განსაკუთრებით ლმობიერი იყო.

იმედზე მონიტორინგის პერიოდში სუბიექტებს ჯამში 8 საათი და 55 წუთი დაეთმო. აქედან 3 საათი და 11 წუთი მხოლოდ 1 ოქტომბერს გასული საინფორმაციო გამოშვების დროა, რამაც საკმაოდ დიდი გავლენა იქონია საერთო შედეგებზე. როგორც დროის გადანაწილების, ისე გაშუქების ტონების გადანაწილების მხრივ.

იმედზე, ისევე როგორც ყველა დანარჩენ არხზე, დათმობილი დროის მიხედვით პირველ ადგილზე კოალიცია ქართული ოცნება არის. მაგრამ აღსანიშნავია, რომ სხვა არხებისგან განხსვავებით იმედზე ამ სუბიექტს ყველაზე დიდი პროცენტული მაჩვენებელი აქვს - 52

პროცენტი. მეორე ადგილას, საკმაოდ დიდი განსხვავებით მოხვდა ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - 16 პროცენტი. შემდეგ მოდის პრეზიდენტი 8 პროცენტით. დანარჩენ სუბიექტებს შორის დრო საკმაოდ თანაბრად არის გადანაწილებული. აღსანიშნავია, რომ პირველი არხის გარდა იმედი ერთადერთი არხია, რომელმაც ყველა ის სუბიექტი გააშუქა 1 ოქტომბრის გამოშვებაში, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ არჩევნებში. (იხ. დიაგრამა Time 3)

პირდაპირი და ირიბი საუბრის მხრივ, სუბიექტებს, რომლებსაც 1-დან 13 ოქტომბრის ჩათვლით არხზე 10 წუთზე მეტი დრო დაეთმოთ, პირდაპირი საუბრის მინიმუმ 54 პროცენტი აქვთ. გამონაკლისია მხოლოდ მთავრობა, რომელსაც პირდაპირი საუბრის წილი მხოლოდ 31 პროცენტი აქვს, დათმობილი თითქმის 19 წუთიდან. (იხ. დიაგრამა Speech 3)

სუბიექტებისთვის დათმობილი დროის ტონით შეფასებას რაც შეეხება, სუბიექტები უმეტესად ნეიტრალურად არის გაშუქებული. ამ შემთხვევაშიც დიდი გავლენა იქონია 1 ოქტომბერს გასულმა საკმაოდ ხანგრძლივმა საინფორმაციო გამოშვებამ, რომელშიც ძირითადად ეგზიტპოლების შედეგებს აცხადებდნენ. სუბიექტების უმრავლესობას ნეიტრალური გაშუქების 90 პროცენტზე მეტი წილი აქვთ. გამონაკლისია პრეზიდენტი, რომელსაც ეს მაჩვენებელი 74 პროცენტი აქვს. პრეზიდენტს ასევე ყველაზე მაღალი დადებითი გაშუქება - 19 პროეცნტი დაუფიქსირდა. კოალიცია ქართულ ოცნებას, რომელსაც ჯამში 5 საათი და 25 წუთი დაეთმო 84 პროცენტის შემთხვევაში ნეიტრალურად გაშუქდა. მასვე დაუფიქსირდა უარყოფითი ტონის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი 9 პროცენტი. (იხ. დიაგრამა Tone 3)

რაც შეეხება ჟურნალისტის ტონის მიხედვით სუბიექტებისთვის დათმობილ დროს, საერთო ტონის ტენდენცია მეორდება. ყველაზე მეტი დადებითი ტონით გაშუქება დაუფიქსირდა პრეზიდენტს (26% 9 წუთიდან). უარყოფითი ტონის შედარებით მაღალი მაჩვენებელი აქვს კოალიცია ქართულ ოცნებას (11%), რომელსაც ყველაზე მეტი დრო - 1 საათი და 40 წუთი დაეთმო. (იხ. დიაგრამა Tone J3).

მონიტორინგის პერიოდში (1-13 ოქტომბერი) იმედზე გასულ სიუჟეტების ნაწილს არანეიტრალური სათაურები ჰქონდა. აღსანიშნავია, რომ სათაურით: „ოცნება: ზეწოლა

საარჩევნო კომისიებზე - არჩევნები 2012" სათაურის მქონე 11 სიუჟეტი გავიდა 3 ოქტომბრის, 5 სიუჟეტი - 4 ოქტომბრის და ერთი სიუჟეტი - 5 ოქტომბრის გადაცემებში. რაც შეეხება უარყოფითი სათაურის მქონე სხვა სიუჟეტებს, ისინიც უმეტესად ბიძინა ივანიშვილსა და კოალიცია ქართულ ოცნებას ეხებოდა. მაგალითად, „თბილისის ახალი ტიტანი - Intependent: ივანიშვილი და ქართული პოლიტიკური რეალობა" (3 ოქტომბერი), „ოკუპაცია და ოცნება: ლუკაშევიჩი და ვოლსკი" (4 ოქტომბერი), „მამა ელიზბარი: წმენდა დაიწყება - სასულიერო პირი და ქართული ოცნება" (4 ოქტომბერი), „ოცნება, აბაშიძე და მამალაძე: დაუბრუნებს თუ არა კოალიცია ქონებას ინტერპოლით ძებნილებს?" (5 ოქტომბერი), „ზეწოლა თვითმმართველობის დეპუტატებზე: მამედოვის ბრალდება ოცნების აქტივისტებს" (10 ოქტომბერი), „დაპირისპირებიდან ოცნებამდე: დუმბაძე, უსუფაშვილი, მასალკინი" (11 ოქტომბერი).

მეორეს მხრივ, ამავე პერიოდში დადებითი სათაურის მქონე სიუჟეტების უმეტესობა პრეზიდენტს, პრემიერმინისტრსა და ქვეყნის აღმშენებლობის თემებს უკავშირდებოდა: „ნაციონალური მოძრაობა ოპოზიციაში: ხელშეწყობა მთავრობის ფორმირებაზე და ოცნების დაპირებების კონტროლი" (3 ოქტომბერი), „სააკაშვილის დემოკრატიისკენ მიმავალი გზა: ამერიკელი სენატორები არჩევნების შედეგებს გამოეხმაურენ" (4 ოქტომბერი), „პრეზიდენტი: არ დავუშვათ ქვეყანაში კანონიერების მოშლა - დავალებები ზღულაძეს და ზოდელავას" (5 ოქტომბერი), „გზების რეაბილიტაცია - წავკისში მიმდინარე სამუშაოები თბილისის მერმა დაათვალიერა" (5 ოქტომბერი).

რაც შეეხება საერთო შთაბეჭდილებას, გამოიკვეთა ტენდენცია, რომ დადებითი სიუჟეტები ძირითადად პრეზიდენტზე, ხელისუფლებაზე, მთავრობაზე, ნაციონალურ მოძრაობასა და თბილისის მერზე კეთდება. მაგალითად, 4 ოქტომბრის სიუჟეტი „სააკაშვილი დემოკრატიისკენ მიმავალი გზა: ამერიკელი სენატორები არჩევნების შედეგებს გამოეხმაურენ" დადებითია ხელისუფლებისა და პრეზიდენტის მიმართ. ჟურნალისტი გადმოგვცემს იმ განცხადების შინაარსს, რომელშიც სააკაშვილს და ხელისუფლებას აქებენ.

5 ოქტომბრის სიუჟეტი „გზების რეაბილიტაცია - წავკისში მიმდინარე სამუშაოები თბილისის მერმა დაათვალიერა" დადებით შთაბეჭდილებას ტოვებს გიგი უგულავას მიმართ, რადგან

ნაჩვენებია როგორ ხდება გზების დაგება ერთ-ერთ სოფელში და როგორ ელაპარაკება თბლისის მერი გარშემო შემოკრებილ ადგილობრივებს. ის დადებითად საუბრობს ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მიღწევებზე და მათ შენარჩუნებაზე.

8 ოქტომბრის სიუჟეტი „ფელენგაუერეი: „საქართველო ომს გადაურჩა" - დემოკრატიული არჩევნები და აცილებული რუსული აგრესია" დადებით კონტექსტში წარმოგვიდგენს მიხეილ სააკშვილს, რადგანაც სიუჟეტის მიხედვით სწორედ სააკაშვილის დემოკრატიულმა პოლიტიკამ გადაარჩინა საქართველო რუსეთთან ომს.

როგორც სიუჟეტების სათაურებიდანაც ჩანს, ქრონიკაში მონიტორინგის ამ პერიოდში გასული უარყოფითი სიუჟეტები უმეტესად კოალიცია ქართულ ოცნებას, მის წევრებსა და ბიძინა ივანიშვილს ეხებოდა. მაგალითად, 3 ოქტომბრის სიუჟეტი „არჩევნები 2012 და რუსეთი: მოსკოვის რეაქცია" უარყოფითად წარმოაჩენს ქართულ ოცნებას. სიუჟეტში ბიძინა ივანიშვილისა და ოცნების გამარჯვება დაკავშირებულია რუსეთთან. ხაზი აქვს გასმული იმას, რომ ოფიციალური მოსკოვი მიესალმება ახალ მთავრობას. ამასთან, ექსპერტები უარყოფითად საუბრობენ ივანიშვილზე და მის კოალიციაზე. ხშირად ხაზი არის გასმული კოალიციაში მყოფი წევრების წარსულზე, მათ შეცდომებზე, ერთმანეთთან ცუდ დამოკიდებულებაზე და სხვა უარყოფითი შინაარსის ინფორმაციაზე.

5 ოქტომბრის სიუჟეტში „ოცნება, აბაშიძე და მამალაძე: დაუბრუნებს თუ არა კოალიცია ქონებას ინტერპოლით ძებნილებს?" უარყოფითადაა წარმოჩენილი კოალიცია ქართული ოცნება. სიუჟეტში ხაზგასმულია ის ფაქტი, რომ ახალი მთავრობის პირობებში შევარდნაძის და ასლან აბაშიძის დროინდელმა ინტერპოლით ძებნილმა ჩინოვნიკებმა ქონების დაბრუნება მოინდომეს. ნაჩვენებია კოალიციის წევრების ინტერვიუები, სადაც ისინი ამბობენ, რომ ყველას აქვს სამართლიანი სასამართლოსთვის მიმართვისა და საკუთარი უფლებების დაცვის უფლება. ასევე, გახსენებულია ასლან აბაშიძისა და მისი მთავრობის წარსული, როგორ ზღუდავდნენ ხალხს, რა პრივილეგიებით სარგებლობდნენ, რა ქონება ჰქონდათ და ა.შ. ჟურნალისტი სიუჟეტის ბოლოს აღნიშნავს, რომ აბაშიძისა და მამალაძის ადვოკატები ახალი მმართველი გუნდის, კოალიცია ქართული ოცნების, წევრები არიან.

5 ოქტომბრის სიუჟეტი „NATO, რუსეთი თუ ორივე ერთად? ივანიშვილის საგარეო კურსი” უარყოფით შთაბეჭდილებას ტოვებს ბიძინა ივანიშვილზე, რადგან ხაზი ესმევა კოალიციის საგარეო კურსს და რუსეთთან ურთიერთობას. ნაჩვენებია ივანიშვილის ინტერვიუდან ამონარიდები, სადაც ის რუსეთთან ურთიერთობაზე საუბრობს. სიუჟეტში მეტი აქცენტი არის გაკეთებული რუსეთთან ურთიერთობაზე ვიდრე ჩრდილო ატლანტიკურ ალიანსზე.

სიუჟეტების ზოგად შთაბეჭდილებას ამძაფრებს ჟურნალისტის ტექსტები, რომლებიც მონიტორინგის პერიოდში ხშირად იყო არანეიტრალური. ქვემოთ მოცემულია რამდენიმე მაგალითი:

- „ის [ივანიშვილი] საკუთარ თავს უკვე პრემიერ-მინისტრად მიიჩნევს, თუმცა აძლევს თუ არა მას ამის უფლებას კონსტიტუცია, ზუსტად არ იცის.” (3 ოქტომბერი, სიუჟეტი „თბილისის ახალი ტიტანი“ - Intependent: ივანიშვილი და ქართული პოლიტიკური რეალობა”)
- „თუმცა, გაცილებით დიდი გეგმები საქართველოს მმართველი ახალი პოლიტიკური ძალის ლიდერს რუსეთთან აქვს. მიუხედავად იმისა რომ პუტინისგან მილოცვა ჯერ არ მიუღია... (ჩართულია ივანიშვილის საუბარი იმაზე, რომ არავისგან ზარი არ ყოფილა) ... რუსეთთან ურთიერთობის დალაგებას ელოდება.“ (5 ოქტომბერი, სიუჟეტი ”NATO, რუსეთი თუ ორივე ერთად? ივანიშვილის საგარეო კურსი”)
- „ივანიშვილმა ისიც აღნიშნა, რომ ახალი მთავრობა რეკორდულად მოკლე დროში, 15 წუთში დააკომპლექტა.“ (8 ოქტომბერი, სიუჟეტი ”ოცნების მთავრობა: კანდიდატების წარდგენა)

სიუჟეტები მათში წარმოდგენილი რესპონდენტების მიხედვით მეტ-ნაკლებად დაბალანსებულია. ასევე, გვხვდება სიუჟეტები, სადაც რთულია ბალანსზე საუბარი, მხოლოდ ერთი ან საერთოდ არ არის რესპონდენტია წარმოდგენილი.

რაც შეეხება „ქრონიკაში” განხორციელებულ პირდაპირ ჩართვებს, 1-13 ოქტომბრის პერიოდში იმედზე გასულ საინფორმაციო გამოშვებების გადაცემებში სულ 9 ასეთი ჩართვა გაკეთდა. აღნიშნულ ჩართვებში სტუმრებს შორის ჭარბობდნენ კოალიცია ქართული ოცნების წარმომადგენლები: 5 ოქტომბერს - დავით უსუფაშვილი (კოალიცია ქართული ოცნება), და

დავით ბაქრაძე (ერთიანი ნაციონალური მოძრაობა), 9 ოქტომბერს - დავით უსუფაშვილი (კოალიცია ქართული ოცნება), 10 ოქტომბერი - თეა წულუკიანი და ირაკლი ღარიბაშვილი (კოალიცია ქართული ოცნება), 11 ოქტომბერი - ამირან გამყრელიძე და მურმან დუმბაძე (კოალიცია ქართული ოცნება), 12 ოქტომბერი - ნოდარ ხადური (კოალიცია ქართული ოცნება).

პირველი 5 ჩართვის შემთხვევაში ჟურნალისტი ძირითადად აცდიდა სტუმრებს ბოლომდე აზრის გამოთქმას და მხოლოდ ჩაკითხვის მიზნით აწყვეტინებდა საუბარს. დანარჩენ ოთხ შემთხვევაში წამყვანი უფრო ხშირად აწყვეტინებდა და არ აცდიდა საუბარს რესპოდენტებს. თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ ყველა სტუმარი მეტ-ნაკლებად თანაბარ მდგომარეობაში იმყოფებოდა. ძირითადად, ჟურნალისტი სტუმრების მიმართ ზომიერად მომთხოვნი იყო. იყო შემთხვევები, როდესაც წამყვანი უფრო მომთხოვნ კითხვებს სვამდა. მაგალითად, 11 ოქტომბრის ჩართვაში, როდესაც ამირან გამყრელიძე (კოალიცია ქართული ოცნება) საუბრობდა ზოგადად პენსიის რეფორმაზე, ჟურნალისტმა მას რამდენჯერმე შეაწყვეტინა და მოსთხოვა კონკრეტული თანხის დასახელება.

აღსანიშნავია, რომ 5 ოქტომბრის ჩართვაში, როდესაც დავით უსუფაშვილი (კოალიცია ქართული ოცნება) ჟურნალისტს პასუხობს კითხვაზე კოალიციის მხარდამჭერთა მხრიდან განხორციელებულ დარღვევების შესახებ და ამბობს, რომ პირიქით ეს ერთიანი ნაციონალური მოძრაობის პროვოკაციები იყო, პარალელურად გადის კადრები, სადაც ოცნების მხარდამჭერები იჭრებიან საარჩევნო უბანზე. რაც უსუფაშვილს უარყოფით კონტექსტში აჩენს.[2]

[2] იხ. სიუჟეტი შემდეგ ბმულზე: http://www.youtube.com/watch?v=4RXmT8D4jGg&feature=youtu.be

1-13 ოქტომბრის პერიოდში მაესტროზე მონიტორინგის სუბიექტებს სულ 5 საათი და 57 წუთი დაეთმო. ისევე როგორც სხვა არხებზე, მაესტროზეც 1 ოქტომბერს საკმაოდ დიდი დრო, 2 საათი და 51 წუთი, დაეთმო საინფორმაციო გამოშვებას. მთელი დროის გამოკვეთილად დიდი ნაწილი დაეთმო კოალიცია ქართულ ოცნებას. სუბიექტებს შორის პირდაპირი და ირიბი საუბრის წილის განაწილება სხვადასხვანაირია. ყველაზე დაბალი პირდაპირი საუბრი წილი მთავრობას, ერთიან ნაციონალურ მოძრაობას და პრეზიდენტს აქვთ. ყველაზე მაღალი კი ადგილობრივ არასამთავრობოებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს. რაც შეეხება სუბიექტებისთვის დათმობილი დროის შეფასებას ტონის მიხედვით, როგორც საერთო ისე ჟურნალიტის ტონში ძირითადად ნეიტრალური ტონი ჭარბობს. ყველაზე მეტი დადებითი ტონით გაშუქება ქართული ოცნების შემთხვევაში დაფიქსირდა. ყველაზე მაღალი უარყოფითი ტონის წილი კი მთავრობას და ერთიან ნაციონალურ მოძრაობას აქვთ. მაესტროზე სიუჟეტებს უმეტესად აღწერილობითი და ნეიტრალური სათაურები აქვს. თუმცა, შეინიშნება უარყოფითი შინაარსის მქონე სათაურები ხელისუფლების წარმომადგენლების მიმართ, რაც უარყოფით შთაბეჭდილებას ტოვებს ამ სუბიექტებზე. საარჩევნო დარღვევებისა და სხვა თემებზე მომზადდა რიგი სიუჟეტებისა, სადაც ხელისუფლება უარყოფითად წარმოჩინდა. კოალიცია ქართული ოცნების შესახებ სიუჟეტები უმეტესად დადებითი იყო. წარმოდგენილი რესპონდენტების მხრივ სიუჟეტები მეტ-ნაკლებად დაბალანსებულია. თუმცა, გვხვდება სიუჟეტები, სადაც იგრძნობა სახელისუფლებო სტრუქტურების, ცესკოსა და ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლების კომენტარების საჭიროება.

მაესტროზე 1-13 ოქტომბრის პერიოდში სუბიექტებს სულ 5 საათი და 57 წუთი დაეთმო. ისევე როგორც სხვა არხებზე, მაესტროზეც 1 ოქტომბერს საკმაოდ დიდი დრო, 2 საათი და 51 წუთი, დაეთმო საინფორმაციო გამოშვებას. დათმობილი დროის მიხედვით პირველ ადგილას კოალიცია ქართული ოცნება მოხვდა 45 პროცენტით. მეორე ადგილას არის ერთიანი ნაციონალური მოძრაობა 17 პროცენტით. დანარჩენ სუბიექტებს კი 8 პროცენტი ან

ნაკლები დაეთმოთ. თუმცა, დარჩენილი დრო საკმაოდ თანაბრად არის გადანაწილებული მათ შორის. (იხ. დიაგრამა Time 4)

პირდაპირი და ირიბი საუბრის განაწილება განსხვავდება სუბიექტებს შორის. კოალიცია ქართულ ოცნებას, რომელსაც ყველაზე მეტი დრო - 2 საათი და 40 წუთი დაეთმო, ეს განაწილება საკმაოდ თანაბრად აქვს: პირდაპირი 46 პროცენტი და ირიბი 54 პროცენტი. პირდაპირი საუბრის ყველაზე მაღალი წილი აქვთ ადგილობრივ არასამთავრობოებს (72 პროცენტი) და საერთაშორისო ორგანიზაციებს (71 პროცენტი). შედარებით დაბალი პირდაპირი საუბრის წილი აქვთ ერთიან ნაციონალურ მოძრაობას (34 პროცენტი), მთავრობას (31 პროცენტი) და პრეზიდენტს (38 პროცენტი). (იხ. დიაგრამა Speech 4)

რაც შეეხება სუბიექტებისთვის დათმობილი დროის შეფასებას ტონის მიხედვით, ძირითადად ნეიტრალური ტონი ჭარბობს. ყველაზემეტი დადებითი ტონით გაშუქება ქართული ოცნების შემთხვევაში დაფიქსირდა - 18 პროცენტი. ყველაზე მაღალი უარყოფითი ტონის წილი კი მთავრობას (17 პროცენტი) და ერთიან ნაციონალურ მოძრაობას (15 პროცენტი) აქვთ. (იხ. დიაგრამა Tone 4)

რაც შეეხება ჟურნალისტის ტონს, აქაც მსგავსი სურათია. ძირითადად ნეიტრალურ გაშუქების ფონზე ორი სუბიექტის მიმართ გამოვლინდა უარყოფითი ტონი. ესენია: მთავრობა (18%) და ერთიანი ნაციონალური მოძრაობა (14%). ჟურნალისტის მხრიდან სუბიექტის დადებითი ტონით გაშუქების შედარებით დიდი წილი მხოლოდ ერთი სუბიექტის შემთხვევაში გამოვლინდა: კოალიცია ქართული ოცნება - 5 პროცენტი. (იხ. დიაგრამა Tone J4)

მაესტროზე სიუჟეტებს უმეტესად აღწერილობითი და ნეიტრალური სათაურები ჰქონდა. არჩევნებთან დაკავშირებით იყო სიუჟეტები, რომლებიც არჩევნებზე დარღვევებსა და შესაძლო გაყალბებას ეხებოდა სხვადასხვა უბანზე, ასევე არჩევნების შემდგომ მიმდინარე მოვლენებს ეხმაურებოდა და მეტ-ნაკლებად უარყოფით ასოციაციებს იწვევდა ხელისუფლების მიმართ. მკვეთრად უარყოფითი ან დადებითი სათაურები არ შეინიშნებოდა. თუმცა, უარყოფითი შინაარსის სათაურები გამოვლინდა. მაგალითად,

„ახალი დოკუმენტაცია: გავრცელებული ინფორმაციით მაღალჩინოსნები ქვეყანას ტოვებენ“ (6 ოქტომბერი), „არაოფიციალური ხარჯები: მაღალჩინოსანთა სტრიპ-კლუბებში ვიზიტები თბილისის ბიუჯეტიდან ფინანსდებოდა“ (8 ოქტომბერი).

მაესტროზე 1-13 ოქტომბრის პერიოდში გასული სიუჟეტების ნაწილი ნეიტრალურია. თუმცა, თემებზე, რომლებიც არჩევნებში დარღვევებს ან ხელისუფლების წარმომადგენლებს უკავშირდება, ზოგადი შთაბეჭდილება მათ მიმართ კრიტიკულია ან უარყოფითი, ხოლო სიუჟეტები კოალიცია ქართული ოცნების შესახებ - უფრო მეტად დადებითი.

არჩევნების თემაზე გასულ სიუჟეტებში (მაგ.: 1 ოქტომბრის სიუჟეტები: „დარღვევები რეგიონებში“, „არჩევნები აჭარაში“, „ვახტანგ ხმალაძის განცხადება“; 4 ოქტომბრის სიუჟეტი „ემიგრანტების არჩევანი: მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მცხოვრები ასეულობით ემიგრანტი ხმის უფლების გარეშე დარჩა“) შეინიშნება უარყოფითი საერთო შთაბეჭდილების მქონე სიუჟეტები ნაციონალური მოძრაობისა და ხელისუფლების მიმართ, რადგან არჩევნებთან დაკავშირებული დარღვევების უმეტესობა მათ უკავშირდება. ასევე გვხვდება უარყოფითი სიუჟეტები ნაციონალური მოძრაობის კანდიდატების შესახებ. ამ სიუჟეტების უმეტესობაში უარყოფითი შთაბეჭდილება იქმნება წარმოდგენილი რესპონდენტების საუბრის შედეგად. არჩევნების შემდეგ დღეებში ხელისუფლება უარყოფითად წარმოჩინდა რიგ სიუჟეტებში. მათ შორის, 6 ოქტომბრის სიუჟეტი „ახალი დოკუმენტაცია: გავრცელებული ინფორმაციით მაღალჩინოსნები ქვეყანას ტოვებენ“; 8 ოქტომბრის სიუჟეტში „პოლკოვნიკის ინტერვიუ: ნიკოლოზ ჯანჯღავა უდანაშაულობის დასამტკიცებლად სამართლებრივ ბრძოლას იწყებს“, სადაც ნიკა ჯანჯღავა ამბობს, რომ მისი დაკავებაც და ლოპოტას ხეობის ინციდენტიც ხელისუფლების მიერ წინასწარ დაგეგმილი წინასაარჩევნო პროვოკაცია იყო; 9 ოქტომბრის სიუჟეტი „სახაზინო ფონდები: რაში იხარჯებოდა გაუმჭვირვალე ხარჯები პრეზიდენტისა და მთავრობის სარეზერვო ფონდებიდან?!“, სადაც აქცენტი კეთდება იმაზე, რომ ხელისუფლება არამიზნობრივად ხარჯავდა თანხებს; 10 ოქტომბრის სიუჟეტი „ქვეყნიდან წასულები: ვინ დატოვა ქვეყანა და ვინ რჩება საქართველოში“.

ნაციონალური მოძრაობის უარყოფითად გაშუქების ერთ-ერთი მაგალითია 3 ოქტომბრის სიუჟეტი „9-წლიანი მმართველობა: ნაციონალური მოძრაობის მმართველობა 2003-2012“, რომელშიც ქრონოლოგიურადაა ნაჩვენები ამ პარტიის მმართველობის დროს მომხდარი ფაქტები. აღსანიშნავია, რომ ის მოვლენები თუ ფაქტები, რასაც ნაციონალური მოძრაობა, პრეზიდენტი და მთავრობა თავის მთავარ მიღწევებად თვლის, მხოლოდ ჩამოთვლილია. ძირითადი აქცენტი (საკმაოდ მძიმე კადრების თანხლებით) კეთდება უარყოფით მოვლენებზე, როგორებიცაა: რობაქიძის, გირგვლიანისა და ვაზაგაშვილის მკვლელობა, ზურაბ ჟვანიას სიკვდილი, 7 ნოემბრის აქციის დარბევა, 2008 წლის ომი, 26 მაისის დარბევა, 2012 წლის არჩევნებზე ხაშურში სპეცრაზმის შესვლა და სხვა. სიუჟეტის დასასრულს ჟურნალისტი ამბობს, რომ სააკაშვილმა 2 ოქტომბერს მეტოქესთან დამარცხება აღიარა და ამით დაამთავრა ნაციონალური მოძრაობის მმართველობაც. ამ დროს ნაჩვენებია კადრი, თუ როგორ აგდებს სააკაშვილი ბიულეტენს და თან ხელს ჩაიქნევს.[3]

მაესტროზე მონიტორინგის პერიოდში გვხვდება დადებითი სიუჟეტები კოალიცია ქართული ოცნებისა და ბიძინა ივანიშვილის მიმართ. ძირითადად, ამ დადებით შთაბეჭდილებას კოალიციის წარმომადგენლები ან მათი მხარდამჭერები ქმნიან თავიანთი კომენტარებით (მაგ.: 1 ოქტომბრის სიუჟეტები მხარდამჭერების შეკრებასთან დაკავშირებით). არჩევნების დღეს და მის შემდეგ მომზადდა სიუჟეტები კოალიციის შეკრებებისა და მათ მიერ გამარჯვების აღნიშვნის შესახებ, სადაც ყველა დადებითადაა განწყობილი კოალიციის მიმართ და კოალიციის ლიდერების მიმართვებიც დადებით შთაბეჭდილებას ქმნის (მაგ.: 1 ოქტომბრის სიუჟეტი „ოცნება - ემოციები - ბიძინა ივანიშვილმა მხარდამჭერებს მიმართა“). 5 ოქტომბრის სიუჟეტი „ბიზნესმენები ივანიშვილთან: ბიძინა ივანიშვილთან შეხვედრას 200-ზე მეტი ბიზნესმენი ესწრებოდა“ დადებითად წარმოაჩენს ბიძინა ივანიშვილს, რადგან ბიზნესმენები დადებით კონტექსტში საუბრობენ მასზე და იმედს გამოთქვამენ, რომ საქართველოში ბიზნესის აყვავების ეპოქა დაიწყება.

თუმცა, რამდენიმე სიუჟეტში კოალიცია უარყოფითადაც წარმოჩინდა. მაგალითად, 1 ოქტომბრის სიუჟეტში შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადებაზე ლუკა კურტანიძის მიერ რამდენიმე ადამიანის ცემის შესახებ კოალიციის წარმომადგენელ ლუკა კურტანიძეზე

[3] იხ. სიუჟეტი შემდეგ ბმულზე: http://www.youtube.com/watch?v=ObGZGp35vT8&feature=youtu.be

საუბარია უარყოფით კონტექსტში, რადგან, შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადებით, ის დამნაშავეა ადამიანების ცემაში. ასევე, 3 ოქტომბრის სიუჟეტი „ინციდენტი თერჯოლაში: ქართული ოცნების მხარდამჭერებმა საოლქო კომისიის კარი შეამტვრიეს“ უარყოფითია ქართული ოცნების მიმართ, რადგან რესპონდენტები საუბრობენ, რომ კოალიციის წარმომადგენლების მხრიდან ადგილი აქვს ძალადობას და საარჩევნო უბანზე ძალით შეჭრის მცდელობას.

მაესტროზე სიუჟეტები წარმოდგენილი რესპონდენტებისა და განსხვავებული მოსაზრებების მხრივ მეტ-ნაკლებად დაბალანსებულია. გვხვდება სიუჟეტები, სადაც გაშუქებულია მხოლოდ ერთი სუბიექტის აქტივობა და რთულია ბალანსზე საუბარი. მაგრამ ასევე გვხვდება სიუჟეტები, სადაც იგრძნობა ოფიციალური სახელმწიფო სტრუქტურების, ცესკოს, ნაციონაური მოძრაობის წარმომადგენლების კომენტარების ნაკლებობა და ზოგჯერ მათი პოზიციის წარმოდგენა. თუმცა, რამდენიმე სიუჟეტში ჟურნალისტმა აღნიშნა, რომ კომენტარის მიღება ვერ მოხერხდა.

მონიტორინგის პერიოდში მაესტროზე დაფიქსირდა რამდენიმე ტექნიკური ხარვეზი. იყო შემთხვევები, როცა რესპონდენტს ვინაობას არ აწერდნენ ან შეცდომით აწერდნენ. კადრებით მანიპულირების შემთხვევები არ არის.

კავკასია

კავკასიაზე სუბიექტებს ჯამში 4 საათი და 17 წუთი დაეთმო. სხვა არხებისგან განსხვავებით კავკასიაზე პირველ ოქტომბერს საინფორმაციო გამოშვება ჩვეულ ფორმატში გავიდა და მხოლოდ 34 წუთი გაგრძელდა. ყველაზე მეტი დრო კოალიცია ქართულ ოცნებას დაეთმო. პირდაპირი და ირიბი საუბრის წილი მეტ-ნაკლებად თანაბრადაა განაწილებული. სუბიექტები ძირითადად ნეიტრალურად გაშუქდნენ. როგორც საერთო ისე ჟურნალისტის ტონის მიხედვით. ნეიტრალური საერთო შთაბეჭდილების მქონე სიუჟეტებთან ერთად კავკასიაზე გვხდება ასევე უარყოფითი შინაარსის სიუჟეტები ერთიანი ნაციონალური მოძრაობის, ხელისუფლებისა და მთავრობის მიმართ, რომლებიც ძირიტად არჩევნების დღეს

ან მის შემდეგ განვითარებულ მოვლენებს ეხება. უარყოფითი შთაბეჭდილება ხშირად მხოლოდ რესპონდენტების კომენტარების შედეგად რჩება. სიუჟეტები მეტ-ნაკლებად დაბალანსებულია, თუმცა არის ისეთი სიუჟეტებიც, სადაც არც ერთი რესპონდენტი არაა წარმოდგენილი.

კავკასიაზე სუბეიქტებს ჯამში 4 საათი და 17 წუთი დაეთმო. სხვა არხებისგან განსხვავებით კავკასიაზე პირველ ოქტომბერს საინფორმაციო გამოშვება ჩვეულ ფორმატში გავიდა და მხოლოდ 34 წუთი გაგრძელდა. მიუხედავად ამისა შედეგები არ განსხვავდება სხვა არხებისგან. კავკასიაზე, ისევე როგორც დანარჩენ 7 არხზე, კოალიცია ქართული ოცნება დათმობილი დროის მიხედვით პირველ ადგილას არის; ამასთან, საკმაოდ მაღალი მაჩვენებლით, 40 პროცენტით. მეორე და მესამე ადგილას ერთიანი ნაციონალური მოძრაობა და მთავრობა არიან მსგავსი პროცენტული მაჩვენებლით (ნაციონალური მოძრაობა 14 პროცენტი, მთავრობა 11 პროცენტი). დანარჩენ სუბიექტებს 8 პროცენტი ან ნაკლები დაეთმოთ. (იხ. დიაგრამა Time 5)

პირდაპირი და ირიბი საუბრის პროცენტული განაწილების მიხედვით სუბიექტების უმეტესობის შემთხვევაში ეს მონაცემები თანაბრად არის განაწილებული. ყველაზე დაბალი პირდაპირი საუბრის წილი ერთიან ნაციონალურ მოძრაობას აქვს - 33 პროცენტი. ყველაზე მაღალი კი ადგილობრივ არასამთავრობოებს - 60 პროცენტი. (იხ. დიაგრამა Speech 5)

სუბიექტებისთვის დათმობილი დროის ტონით შეფასებისას აღსანიშნავია, რომ კავკასიაზე სუბიექტები ძირითადად ნეიტრალურად გაშუქდნენ. რამდენიმე სუბიექტის შემთხვევაში დაფიქსირდა უარყოფითი ტონით გაშუქება და მათში ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ერთიან ნაციონალურ მოძრაობას აქვს: 18 პროცენტი. უარყოფითი ტონის წილი აქვს ასევე მთავრობას - 11 პროცენტი, პრეზიდენტს - 11 პროცენტი და კოალიცია ქართულ ოცნებას - 4 პროცენტი.
რაც შეეხება დადებით ტონს, მცირე დადებითი ტონით გაშუქებაც დაფიქსირდა იგივე სუბიექტების შემთხვევაში. (იხ. დიაგრამა Tone 5)

ჟურნალისტის ტონის შედეგები გავს საერთო ტონის სურათს როგორც დადებითი. სუბიექტები ძირითადად ნეიტრალურად არის გაშუქებული. რაც შეეხება უარყოფით ტონს, ის იგივე ოთხი სუბიექტის შემთხვევაში დაფიქსირდა: მთავრობა - 14 პროცენტი, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - 11 პროცენტი, პრეზიდენტი - 9 პროცენტი და კოალიცია ქართული ოცნება - 3 პროცენტი. (იხ. დიაგრამა Tone J5).

მონიტორინგის მთელი პერიოდის განმავლობაში კავკასიაში სიუჟეტებს სათაურები არ აქვს, ამიტომ მათზე დაკვირვება ვერ ხერხდება.

1-13 ოქტომბრის პერიოდში ნეიტრალური საერთო შთაბეჭდილების მქონე სიუჟეტებთან ერთად იყო ასევე უარყოფითი შინაარსის სიუჟეტები ერთიანი ნაციონალური მოძრაობის, ხელისუფლებისა და მთავრობის მიმართ. ასეთი სიუჟეტები უმეტესად არჩევნების დღეს და მის შემდეგ განვითარებულ მოვლენებს ეხება. ამ შთაბეჭდილებას ხშირად სიუჟეტებში წარმოდგენილი რესპონდენტების კომენტარები ქმნის. ამ პერიოდში სიუჟეტები გაკეთდა ისეთ თემებზე როგორიცაა: ნაციონალური მოძრაობის მხრიდან არჩევნების გაყალბების მცდელობები, მთავრობის წევრების ქვეყნიდან გასვლა, მთავრობის უკანონო ქმედებებზე და ა.შ.

ასევე გაკეთდა სიუჟეტები იმის შესახებ, რომ არჩევნების შემდეგ პრეზიდენტის ან მთავრობის მიერ ინიცირებული პროექტები დაიხურა და აღარ გაგრძელდა. მაგალითად, 11 ოქტომბერს გასულ სიუჟეტში, რომელიც პრეზიდენტის პროექტ „ღიმილიან საქართველოს" და სხვა სამთავრობო პროექტებს ეხებოდა, უარყოფითად იყო წარმოჩენილი ის ფაქტი, რომ არჩევნების მერე სამთავრობო პროექტები შეჩერდა. განსაკუთრებულად უარყოფით კონტექსტში იყო ნაჩვენები პრეზიდენტის ინიციატივით დაწყებული პროექტი „ღიმილიანი საქართველო", რომლის შედეგადაც ხალხი კბილების ჩასმისა და მკურნალობის გარეშე დარჩა.

აღსანიშნავია, 6 ოქტომბრის საინფორმაციო გამოშვებაში გასული ერთ-ერთი სიუჟეტი, სადაც მოცემულია გივი თარგამაძისა და რუსი ოპოზიციონერების შეხვედრის ამსახველი ვიდეო მასალა. საუბარი ეხებოდა რუსეთში გადატრიალების მოწყობას. ხაზგასასმელია, რომ

სიუჟეტი საკმაოდ დაბალანსებულია, წარმოდგენილია ასევე, მეორე მხარის განცხადებები, მაგალითად დავით დარჩიაშვილისა და ნიკა ჩიტაძის, რომლებიც სხვა კუთხიდან აფასებენ ამ მოვლენას. ასევე მოყვანილია ცისკარიშვილის კომენტარი, რომელიც უარყოფითად საუბრობს თარაგამაძეზე. საერთო ჯამში სიუჟეტი უარყოფითად წარმოგვიჩენს ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წევრს, თუმცა არა არხის ტენდენციურობის გამო, არამედ თემატიკიდან გამომდინარე.

სიუჟეტებში გამოყენებული წყაროებისა და წარმოდგენილი აზრთა სხვადასხვაობის მხრივ, კავკასიაზე მონიტორინგის პერიოდში სიუჟეტები მეტ-ნაკლებად დაბალანსებულია. სხვა არხების მსგავსად, კავკასიაზეც ხშირია სიუჟეტები, რომელთა შემთხვევაშიც რთულია ბალანსზე საუბარი ან არ არის წარმოდგენილი არც ერთი რესპონდენტი.

მეცხრე არხი

მეცხრე არხზე სუბიექტებს 1-13 ოქტომბრის პერიოდში სულ სათი და 17 წუთი დაეთმოთ. აქედან 2 საათი და 25 წუთი 1 ოქტომბერს გასული საინფორმაციო გამოშვების დროა დათმობილი დროის მიხედვით პირველ ადგილზეა კოალიცია ქართული ოცნება. პირდაპირი საუბრის ყველაზე დიდი წილი აქვს ადგილობრივ არასამთავრობოებს. ერთიან ნაციონალურ მოძრაობასა და მთავრობას კი საკმაოდ პატარა. სუბიექტების გაშუქების ტონის მხრივ, ამ პერიოდში თვალში საცემია კოალიცია ქართული ოცნების მიმართ დაფიქსირებული შედარებით მაღალი დადებითი ტონით გაშუქების წილი, რომელიც მხოლოდ რესპონდენტების საუბრიდან გამომდინარეობს და არა თვითონ ჟურნალისტებისგან. არჩევნების დღეს გაშუქდა ბიძინა ივანიშვილის ვრცელი მიმართვა, ხალხი გასული ქუჩაში დროშებით და ა.შ. უარყოფითად კი შუქდებოდნენ, როგორც საერთო ისე ჟურნალისტის ტონით: ნაციონალური მოძრაობა, მტავრობა, ხელისუფლება, პრეზიდენტი და ადგილობრივი თვითმმართველობა. სიუჟეტებში სხვადასხვა მოსაზრებების წარმოდგენას, ამ მხრივ სიუჟეტები მეტ-ნაკლებად დაბალანსებულია. თუმცა, აღსანიშნავია,

რომ უმეტეს შემთხვევაში სიუჟეტებში არ არის წარმოდგენილი მთავრობისა და ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლების კომენტარები. მეცხრე არხზე ფიქსირდება შემთხვევები, როდესაც ჟურნალისტის მიერ გაკეთებული დასკვნები არ შეესაბამება სიუჟეტში გამოყენებულ მასალებს ან ჟურნალისტის ვარაუდი არის მოცემული როგორც ფაქტი.

მეცხრე არხზე მონიტორინგის პერიოდში მონიტორინგის სუბიექტებს სულ 5 საათი და 17 წუთი დაეთმოთ. აქედან 2 საათი და 25 წუთი 1 ოქტომბერს გასული საინფორმაციო გამოშვების დროა, რომელიც საკმაოდ გრძელი იყო. მთელი დროის 44 პროცენტი კოალიცია ქართულ ოცნებას ერგო. მეორე და მესამე ადგილას მსგავსი პროცენტული მაჩვენებლებით არიან ერთიანი ნაციონალური მოძრაობა (15%) და ადგილობრივი არასამთავრობოები (13%). დანარჩენ სუბიექტებს 7 პროცენტი ან ნაკლები დაეთმოთ. (იხ. დიაგრამა Time 6)

პირდაპირი და ირიბი საუბრის განაწილებას რაც შეეხება, კოალიცია ქართულ ოცნებასა და პრეზიდენტს საკმაოდ თანაბარი განაწილება აქვთ. თუმცა, აღსანიშნავია, რომ მათთვის დათმობილი დრო საკმაოდ განსხვავდება: კოალიცია ქართული ოცნება - 51 პროცენტი პირდაპირი და 49 ირიბი საუბარი დათმობილი 2 საათი და 20 წუთიდან, პრეზიდენტი - 48 პროცენტი პირდაპირი და 52 პროცენტი ირიბი საუბარი დათმობილი 21 წუთიდან. პირდაპირი საუბრის ყველაზე დიდი წილი აქვს ადგილობრივ არასამთავრობოებს - 69 პროცენტი. ერთიან ნაციონალურ მოძრაობასა და მთავრობას კი საკმაოდ დაბალი: ნაციონალური მოძრაობა - 25 პროცენტი პირდაპირი საუბარი და მთავრობა - 23 პროცენტი. (იხ. დიაგრამა Speech 6)

სუბიექტების გაშუქების ტონის მხრივ მეცხრე არხზე თვალში საცემია სხვა სუბიექტებთან შედარებით დადებითი ტონის დიდი წილი კოალიცია ქართული ოცნების შემთხვევაში - 22 პროცენტი. შედარებით მეტი უარყოფითი ტონი გვხდება ნაციონალური მოძრაობის (24%), მთავრობის (33%), პრეზიდენტის (21%), ადგილობრივი თვითმმართველობისა (34%) და ხელისუფლების (75%) შემთხვევაში. (იხ. დიაგრამა Tone 6)

ჟურნალისტის ტონის მიხედვით სუბიექტებისთვის დათმობილი დროის განაწილება ზოგად ტონის ტენდენციის მსგავსია, განსაკუთრებით უარყოფითი ტონის შემთხვევაში. აღსანიშნავია, რომ კოალიცია ქართული ოცნების შემთხვევაში ჟურნალისტის ტონში დადებითი გაშუქება მინიმალურია - 2 პროცენტი. უარყოფითი ტონის წილი კი საკმაოდ დიდია ზუსტად იმ სუბიექტების მიმართ, რომლებსაც საერთო ტონში უარყოფითი გაშუქების ასევე დიდი წილი ჰქონდათ. ესენია: მთავრობა (39%), ერთიანი ნაციონალური მოძრაობა (22%), პრეზიდენტი (34%) და ხელისუფლება (62%). (იხ. დიაგრამა Tone J6)

სიუჟეტების სათაურების მხრივ მონიტორინგის ამ პერიოდში მეცხრე არხზე ნაკლებად შეიმჩნევა კრიტიკული და ირონიული სათაურები და ძირითადად, ნეიტრალური შინაარსის სათაურები ჭარბობს. თუმცა, შეიძლება გამოვყოთ რამდენიმე კრიტიკული და ირონიული შინაარსის სათაური პრეზიდენტის, მთვრობისა და ადგილობრივი ხელისუფლების მიმართ: „გაზრდილი უფლებამოსილება: პრეზიდენტმა სამ დღეში ორი სააგენტო დაიქვემდებარა" (8 ოქტომბერი), „ბრძოლა თვითმმართველობისთვის: პრეზიდენტი რეგიონებში ძალაუფლების გაძლიერებას იწყებს" (8 ოქტომბერი), „გაუჩინარებული მინისტრი: იუსტიციის მინისტრის ადგილსამყოფელის შესახებ სამინისტროში არაფერი იციან" (9 ოქტომბერი), „თავდაცვის არამიზნობრივი ხარჯები: ექსპერტები თავდაცვის ბიუჯეტის ხარჯების შესწავლას მოითხოვენ" (13 ოქტომბერი), „საბიუჯეტო თანხების ხარჯვა: ქართული ოცნება ხარაგაულის გამგებელს ადანაშაულებს" (13 ოქტომბერი).

აღსანიშნავია, რომ 1 - 6 ოქტომბრის ჩათვლით გასულ საინფორმაციო გადაცემებში სიუჟეტებს სათაურები არ ჰქონდათ.

თვისებრივი მონიტორინგის დროს, 1-13 ოქტომბრის ჩათვლით, მეცხრე არხზე ჭარბობს უარყოფითი საერთო შთაბეჭდილების მქონე სიუჟეტები, სადაც ხელისუფლება, მთავრობა, პრეზიდენტი, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, ადგილობრივი თვითმმართველობა და ცენტრალური საარჩევნო კომისია უარყოფით კონტექსტში არიან გაშუქებული. ამას განაპირობებს როგორც რესპონდენტების კომენტარები, ასევე სიუჟეტის საერთო კონტექსტი და ჟურნალისტის ტექსტი.

ოქტომრბის პირველ ნახევარში გასული სიუჟეტები, რომლებიც უარყოფითად წარმოაჩენენ ხელისუფლებას, მთავრობას, ერთიან ნაციონალურ მოძრაობას და ცესკოს ძირითად არჩევნების დღეს და მის შემდეგ განვითარებულ მოვლენებს ეხება. სიუჟეტები უმეტესად ეხებოდა მმართველი პარტიის მხირდან არჩევნების გაყალბების მცდელობას სხვადასხვა ხერხებით და სხვადასხვა უბნებზე, ასევე ცესკოს მიერ გაკეთებულ დარღვევებსა და არასწორად დათვლილ ბიულეტენებზე. ამასთან ხშირია სიუჟეტები, სადაც საუბარია მთავრობის მიერ წამოწყებულ პროექტებზე, როგორიცაა მაგალითად, ლაზიკის მშენებლობა, ან პროგრამებზე, როგორიცაა მაგალითად, „ღიმილიანი საქართველო“, სადაც ხელისუფლება ან თვითონ პროექტი ცუდად არის წარმოჩენილი, როგორც ჟურნალისტის ისე, რესპონდენტების მხრიდან.

ამ პერიოდში სიუჟეტებში ასევე განიხილებოდა ხელისუფლების მფლობელობაში მყოფი სხვადასხვა კომპანიები, მათ შორის ტელეკომპანიებიც. ხაზი იყო გასმული უკანონოდ წართმეულ საკუთრებებზე და დაკისრებულ ჯარიმებზე. განხილული იყო ქყვეყნიდან წასული მინისტრებისა და მათი გარემოცვის ფაქტებიც.

მონიტორინგის პერიოდში მეცხრე არხზე შედარებით იშვიათად იყო დადებითი საერთო შთაბეჭდილების მქონე სიუჟეტები. თუმცა, ასეთ შემთხვევებში ისინი ეხებოდა ბიძინა ივანიშვილს და კოალიცია ქართულ ოცნებას. ვრცლად იყო ნაჩვენები ბიძინა ივანიშვილის მიმართვები, გამოსვლები, სადაც ის დადებითად საუბრობს. ნაჩვენებია კოალიციის ლიდერის პატრიარქთან შეხვედრისა და ხატზე მთხვევის კადრები. არჩევნების დღეს გასულ სიუჟეტებში ხშირად ჩანდა ბევრი ხალხი, ტაში, დროშები და ა.შ.

მეცხრე არხზე გვხვდება სიუჟეტები, სადაც კონკრეტული სუბიექტის მიმართ უარყოფით შთაბეჭდილებას ამძაფრებს ჟურნალისტის ტექსტი. მაგალითები:

- „რა ახალ სქემებს ხლართავს ნაციონალური მოძრაობა, თავის დროზე წართმეული მედია საშუალებების შესანარჩუნებლად“. (4 ოქტომბერი, სიუჟეტი 7)
- „სად არიან დეზერტირი მაღალჩინოსნები? ზურაბ ადეიშვილი ერთადერთი მინისტრია, რომელმაც სამსახური და თანამშრომლები მიატოვა და ქვეყნიდან გაიპარა... ნახეთ საქართველოდან გაქცეული დეზერტირი მაღალჩინოსნები და

საჯარო მოხელეები, რომლებიც ჯერ კიდევ ერთი კვირის წინ ტერორთან ასოცირდებოდნენ.” (9 ოქტომბერი, სიუჟეტი „გაუჩინარებული მინისტრი: იუსტიციის მინისტრის ადგილოსამყოფელის შესახებ სამინისტროში არაფერი იციან.”)

- „მიხეილ სააკაშვილმა გადაწყვეტილება წუხელ მიიღო, რაც უკვე შეფასდა ვაჭრობად.” (9 ოქტომბერი, სიუჟეტი ”ცვლილება შტაბში: გენშტაბის უფროსად კაპანაძის კანდიდატურაზე მსჯელობენ”)
- „თბილისის მერი ცდილობს ფუნქციები გამოაცალოს შინაგან საქმეთა სამინისტროს.” (10 ოქტომბერი, სიუჟეტი ”თბილისის მერიის პოლიცია: გიგი უგულავა დაცვის საკუთარ სამსახურს ქმნის”)

რაც შეეხება სიუჟეტებში სხვადასხვა მოსაზრებების წარმოდგენას, ამ მხრივ სიუჟეტები მეტ-ნაკლებად დაბალანსებულია. თუმცა, აღსანიშნავია, რომ სიუჟეტებში, რომლებიც ნაკლებადაა დაბალანსებული, უმეტესწილად, არ არის წარმოდგენილი ხელისუფლების, მთავრობის, ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა, ადგილობრივი თვითმართველობისა და ცენტრალური საარჩევნო კომისიის წარმომადგენელთა კომენტარები. ასევე, გვხვდება ისეთი სიუჟეტები, სადაც რთულია ბალანსის შეფასება ან საერთოდ არ არის რესპონდენტი წარმოდგენილი.

მეცხრე არხზე ფიქსირდება შემთხვევები, როდესაც ჟურნალისტის მიერ გაკეთებული დასკვნები არ შეესაბამება სიუჟეტში გამოყენებულ მასალებს ან ჟურნალისტის ვარაუდი არის მოცემული როგორც ფაქტი, რაც კონკრეტულ შემთხვევებში ამძიმებს და ამძაფრებს სურათს.

რეალ ტვ

ანგარიშში მოცემულია რეალ ტვ-ის საინფორმაციო გამოშვებების მონიტორინგის შედეგები 1-დან მხოლოდ 5 ოქტომრის ჩათვლით, რადგან ამის შემდეგ არხმა შეწყვიტა საინფორმაციო მაუწყებლობა. აქედან გამომდინარე ამ არხზე ჯამში სუბიექტებს, სხვა არხებთან შედარებით ყველაზე ნაკლები დრო, 2 საათი და 41 წუთი დაეთმოთ. ამ დროის თითქმის ნახევარი დაეთმო კოალიცია ქართულ ოცნებას. პირდაპირი და ირიბი საუბრის პროცენტულ განაწილებას რაც შეეხება, ყველაზე დაბალი პირდაპირი საუბრის წილი კოალიცია ქართულ ოცნებას აქვს, ხოლო ყველაზე მაღალი - პრეზიდენტს. სუბიექტების გაშუქების ტონს რაც შეეხება, რეალ ტვ-ზე თვალში საცემია ნეიტრალური ტონის სიჭარბე უმეტესი სუბიექტების შემთხვევაში, როგორც საერთო ისე ჟურნალისტის ტონში. მხოლოდ ერთი სუბიექტი შუქდება უარყოფითად: კოალიცია ქართული ოცნება. სიუჟეტების სათაურების მხრივ რეალ ტვ-ზე დაფიქსირდა ნეიტრალური და აღწერილობითი სათაურები. სიუჟეტებში საერთო შთაბეჭდილება უმეტესად ნეიტრალურია. თუმცა, შეინიშნება უარყოფითი სიუჟეტები კოალიციაზე და დადებითი სიუჯეტები ხელისუფლების წარმომადგენლებზე. თუმცა, მკვეთრად უარყოფითი სიუჟეტები აღარ შეინიშნება. სიუჟეტები ხან დაბალანსებულია, ხან არა. დაუბალანსებლობის შემთხვევაში შეიმჩნევა კოალიციის წარმომადგენლების კომენტარების ნაკლებობა.

ანგარიშში მოცემულია რეალ ტვ-ის საინფორმაციო გამოშვებების მონიტორინგის შედეგები 1 დან 5 ოქტომრის ჩათვლით, რადგან ამის შემდეგ არხმა შეწყვიტა საინფორმაციო მაუწყებლობა. აქედან გამომდინარე ამ არხზე ჯამში სუბიექტებს, სხვა არხებთან შედარებით ყველაზე ნაკლები დრო, 2 საათი და 41 წუთი დაეთმოთ. ყველაზე მეტი დრო, 46 პროცენტი, დაეთმო კოალიცია ქართულ ოცნებას. ორჯერ ნაკლები დრო დაეთმო მეორე ადგილას მყოფ ერთიან ნაციონალურ მოძრაობას - 20 პროცენტი. სამეულში ასევე მოხვდა პრეზიდენტი 11 პროცენტით. დანარჩენ სუბიექტებს კი 6 პროცენტი ან ნაკლები ერგოთ. (იხ. დიაგრამა Time 7) პირდაპირი და ირიბი საუბრის პროცენტულ განაწილებას რაც შეეხება, ყველაზე თანაბრად განაწილებული მაჩვენებლები ერთიანი ნაციონალური მოძრაობის შემთხვევაში დაფიქსირდა: 51 პროცენტი პირდაპირი და 49 პროცენტი ირიბი. ყველაზე დაბალი

პირდაპირი საუბრის წილი კოალიცია ქართულ ოცნებას აქვს - 37 პროცენტი. ხოლო ყველაზე მაღალი კი, პრეზიდენტს - 70 პროცენტი. (იხ. დიაგრამა Speech 7)

სუბიექტების გაშუქების ტონს რაც შეეხება, რეალ ტვ-ზე თვალში საცემია ნეიტრალური ტონის სიჭარბე უმეტესი სუბიექტების შემთხვევაში. აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდში არ გვხდება დადებითი გაშუქების დიდი წილი არც ერთი სუბიექტის შემთხვევაში. მხოლოდ ერთი სუბიექტის შემთხვევაში არის უარყოფითი გაშუქების საკმაოდ დიდი წილი: კოალიცია ქართული ოცნება 35 პროცენტი. (იხ. დიაგრამა Tone 7)

სუბიექტებზე ჟურნალისტის საუბრის ტონის საკმაოდ გავს საერთო ტონის სურათს. მხოლოდ ერთი სუბიექტის შემთხვევაში გვხდება უარყოფითი გაშუქება: ქართული ოცნება 33 პროცენტი. რაც შეეხება დადებით გაშუქებას, ისევე როგორც საერთო ტონში, ჟურნალისტის ტონშიც ესეთი შემთხვევები მინიმუმამდეა დაყვანილი. (იხ. დიაგრამა Tone J7)

მონიტორინგის მოცემულ პერიოდში დაკვირვების ქვეშ რეალ ტვ-ს მხოლოდ 5 დღის საინფორმაციო გამოშვებები მოექცა. 6 ოქტომბრიდან არხზე საღამოს საინფორმაციო გამოშვება აღარ გასულა. სიუჟეტების სათაურების მხრივ რეალ ტვ-ზე სიტუაცია შეიცვალა. არჩევნებთან დაკავშირებულ სიუჟეტებს (ძირითადად 1 ოქტომბერს) სათაური საერთოდ არ ჰქონდა. დანარჩენ დღეებში სიუჟეტებს მხოლოდ მოკლე და აღწერილობითი სათაურები ჰქონდა. მაგალითად, „ივანიშვილის პრესკონფერენცია“ (2 ოქტომბერი), „პრეზიდენტი დიპლომატებთან“ (4 ოქტომბერი), „ინციდენტი ახმეტაში“ (5 ოქტომბერი).

რეალ ტვ-ზე მდგომარეობა ზოგადი შთაბეჭდილების მხრივაც შეიცვალა. მონიტორინგის პერიოდში ამ არხის საღამოს საინფორმაციო გამოშვება გამოირჩეოდა კოალიცია ქართული ოცნების მკვეთრად უარყოფითი და სახელისუფლებო სუბიექტების მკვეთრად დადებითი გაშუქებით. 1-5 ოქტომბერს გასული სიუჟეტებიდან კი უფრო ნეიტრალური შთაბეჭდილება რჩებოდა სუბიექტებზე. კოალიცია ქართული ოცნების შესახებ უარყოფითი სიუჟეტები კვლავაც იყო, მაგრამ აღარ შეინიშნებოდა ისეთი მკვეთრად უარყოფითი ჟურნალისტის ტექსტები, რაც მანამდე. რაც შეეხება პრეზიდენტსა და მთავრობას, რამდენიმე დადებითი

სიუჟეტი ამ პერიოდშიც გავიდა მათ შესახებ, მაგრამ აქაც მნიშვნელოვანი განსხვავება დაფიქსირდა გაშუქების სტილის კუთხით.

მაგალითად, 1 ოქტომბრის სიუჟეტში ეგზიტპოლების შედეგებზე ქართული ოცნების წარმომადგენლების კომენტარების შესახებ ხაზგასმულია, რომ კოალიცია ნაადრევად, მხოლოდ ივანიშვილის მიერ დაფინანსებული ამომრჩეველთა ლიგის ეგზიტპოლების პირველად შედეგებზე დაყრდნობით ზეიმობს გამარჯვებას. სიუჟეტში წარმოდგენილია ბიძინა ივანიშვილის განცხადებები და ჟურნალისტი ხაზს უსვამს, თუ როგორ ურთიერთგამომრიცხავ განცხადებებს აკეთებს იგი.

3 ოქტრომბრის სიუჟეტში „ივანიშვილის მინისტრთა კაბინები“ განხილულია მინისტრებოს შესაძლო კანდიდატები და უარყოფით კონტექსტშია მიმოხილული თითოეული მათგანის წარსული გამოცდილება და პოლიტიკური გზა. ჟურნალისტი ხაზს უსვამს, რომ ბევრი მათგანი შევარდნაძის რეჟიმის პოლიტიკოსია ან პრორუსული ორიენტაცია აქვს. სიუჟეტში ასევე საუბარია ივანიშვილის მიერ წაყენებულ ულტიმატუმზე, სადაც იგი სააკაშვილს გადადგომისკენ მოუწოდებს. შემდეგ კი ნაჩვენებია, თუ როგორ ცვლის ივანიშვილი ამ განცხადებას საერთაშორისო საზოგადოების ნეგატიური შეფასების შემდეგ.

მაგალითად, 4 ოქტომბრის სიუჟეტებში „CNN საქართველოზე“ და „ამერიკელი სენატორების განცხადება“ პრეზიდენტი და მთავრობა დადებითად წარმოჩინდა, ერთ შემთხვევაში CNN-ის სტატიის წარდგენისას, მეორე შემთხვევაში ამერიკელი სენატორების განცხადების გაშუქებისას.

რაც შეეხება სიუჟეტების ბალანსს წარმოდგენილი რესპონდენტების მიხედვით, ამ პერიოდში სიუჟეტები ხან დაბალანსებულია, ხან არა. ხშირია სიუჟეტები, სადაც მხოლოდ ერთი სუბიექტის აქტივობაა გაშუქებული და წყაროების ბალანსზე საუბარი რთულია. თუმცა, აღსანიშნავია, რომ დაუბალანსებელი სიუჟეტების ნაწილი განპირობებულია კოალიცია ქართული ოცნების წარმომადგენლების, კომენტარების ნაკლებობით.

რეალ ტვ-ზე აქვს ადგილი ისეთ შემთხვევებსაც, როდესაც ჟურნალისტის მიერ გაკეთებული დასკვნები არ შეესაბამება სიუჟეტში გამოყენებულ მასალებს. თუმცა, მონიტორინგის პერიოდში ასეთი შემთხვევები იშვიათია და ტენდენციას არ წარმოადგენს.

1-5 ოქტომბერს საინფორმაციო გამოშვებაში პირდაპირი ჩართვები აღარ გაკეთებულა.

დანართი - დიაგრამები

დიაგრამა Time 1



დიაგრამა Time 2



დიაგრამა Time 3



დიაგრამა Time 4



დიაგრამა Time 5



დიაგრამა Time 6



დიაგრამა Time 7



დიაგრამა Speech 1



დიაგრამა Speech 2



დიაგრამა Speech 3



დიაგრამა Speech 4



დიაგრამა Speech 5



დიაგრამა Speech 6



დიაგრამა Speech 7



დიაგრამა Tone 1

დიაგრამა Tone J1

დიაგრამა Tone 2



დიაგრამა Tone J2

დიაგრამა Tone 3



დიაგრამა Tone J3



დიაგრამა Tone 4



დიაგრამა Tone J4



დიაგრამა Tone 5



დიაგრამა Tone J5



დიაგრამა Tone 6



დიაგრამა Tone J6



დიაგრამა Tone 7



დიაგრამა Tone J7